ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს
2024 წლის 1 აგვისტოს სხდომის
ოქმი # 6

სხდომას ფაკულტეტის საბჭოს 35 წევრიდან ესწრებოდა 18 წევრი

დღის წესრიგი:

1. ასოცირებული პროფესორის, მედეა ბადაშვილის სამეცნიერო შემოქმედებითი შვებულება
2 ასოცირებული პროფესორის ნათელა ფარცხალაძის სამეცნიერო შემოქმედებითი შვებულება
3. დოქტორანტების თემის სათაურების დამტკიცება
4. მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის VIII სემესტრის დოქტორანტ მანონ ბოკუჩავას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიისა და რეცენზენტების დამტკიცება
5. პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის VII სემესტრის დოქტორანტ გიორგი ბერიძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიისა და რეცენზენტების დამტკიცება
6. პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის IX სემესტრის დოქტორანტ გიორგი გოგსაძის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტის გადამტკიცების საკითხი
7. მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალში სტატიის გამოქვეყნებისთვის პროფესორ თ. დოლბაიას რექტორის ჯილდოზე წარდგენა
8. „ბ“ კონტრაქტის პროფესორებისთვის დამატებითი საათების ანაზღაურება
9. სახელმძღვანელოებისა და სათარგმნი ლიტერატურის საუნივერსიტეტო კონკურსი
10.ცვლილებები კურიკულუმში
11.მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის, “ეროვნული უსაფრთხოება, დემოგრაფიული პოლიტიკა და მიგრაციები”, სილაბუსებში ლიტერატურის განახლება
12. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამული ანგარიშების დამტკიცება

მოისმინეს 1. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შემოსულია ინტერდისციპლინური მიმართულებების ასოცირებული პროფესორის, მედეა ბადაშვილის განცხადება სამეცნიერო შემოქმედებითი შვებულების შესახებ. მ. ბადაშვილი ითხოვს სამეცნიერო შემოქმედებით შვებულებას 5 თვის ვადით - 2024 წლის 1 სექტემბირდან - 2025 წლის 1 თებერვლამდე. განცხადებაში ნათქვამია, რომ შედეგად დაიწერება სამეცნიერო სტატია, რომელიც გამოქვეყნდება ERICH +, SCOPUS ან WEB of SCIENCE - ის სამეცნიერო ბაზაში. როგორც მ. ბადაშვილი აღნიშნავს, სტატიისთვის ჩასატარებელი კვლევის განხორციელება დაიწყება 2024 წლის 1 აგვისტოდან, რაც მას მისცემს საშუალებას შემოქმედებითი შვებულება მთლიანად დაუთმოს სტატიას. ასევე, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი „Rustaveli-DAAD” -ის სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში მას ეძლევა საშუალება განახორციელოს კვლევითი ვიზიტი გერმანიაში და იმუშაოს გოთინგენის უნივერსიტეტში.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა თ. დოლბაიამ, ასოცირებულმა პროფესომა ნ. ფარცხალაძემ.

დაადგინეს: მიეცეს სამეცნიერო შემოქმედებითი შვებულება ასოცირებულ პროფესორ მედეა ბადაშვილს 2024 წლის 1 სექტემბრიდან - 2025 წლის 1 თებერვლამდე. შედეგად გამოქვეყნდება

სტატია ERICH +, SCOPUS ან WEB of SCIENCE - ის სამეცნიერო ბაზაში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში.

მოისმინეს 2. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შემოსულია სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ასოცირებული პროფესორის, ნათელა ფარცხალაძის განცხადება სამეცნიერო შემოქმედებითი შვებულების შესახებ. ნ. ფარცხალაძე ითხოვს სამეცნიერო შემოქმედებით შვებულებას 10 თვის ვადით - 2024 წლის 1 სექტემბრიდან 2024 წლის 1 ივლისამდე. განცხადებაში ნათქვამია, რომ შედეგად დაიწერება სახელმძღვანელო სამუშაო სათაურით „ხანდაზმულებთან სოციალური მუშაობის საფუძვლები; ასევე, ნ. ფარცხალაძის განცხადებით მას Springer Nature – Major Research Works სერიის პუბლიკაციისთვის სოციალური მუშაობა ბავშვებთან და ოჯახებთან, მიმართეს თხოვნით, შეიმუშავოს თავი სათაურით „დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულებების დახურვა და დეინსტიტუციონალიზება ევროპასა და მსოფლიოში'. ნ. ფარცხალაძე დამატებით იღებს მოცემული თავის შემუშავების ვალდებულებასაც.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა გ, გოგსაძემ.

დაადგინეს: მიეცეს სამეცნიერო შემოქმედებითი შვებულება ასოცირებულ პროფესორ ნათელა ფარცხალაძეს 10 თვის ვადით - 2024 წლის 1 სექტემბრიდან 2024 წლის 1 ივლისამდე. შედეგად დაიწეროს სახელმძღვანელო სამუშაო სათაურით „ხანდაზმულებთან სოციალური მუშაობის საფუძვლები; ასევე, მომზადდეს Springer Nature – Major Research Works სერიის პუბლიკაციისთვის სოციალური მუშაობა ბავშვებთან და ოჯახებთან, თავი სათაურით: „დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულებების დახურვა და დეინსტიტუციონალიზება ევროპასა და მსოფლიოში'.

მოისმინეს 3. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ დასამტკიცებელია დოქტორანტთა თემის სათაურები.

სადისერტაციო ნაშრომის სათაურის დამტკიცება:

1. გიორგი ქაფიანიძე, პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის მე-2 სემესტრის დოქტორანტი, ხელმძღვანელი პროფ. მ .მაცაბერიძე; თემის სათაური: სტალინთან დაკავშირებული თემატიკის გავლენა ადგილობრივ პოლიტიკურ დღის წესრიგზე (გორის მუნიციპალიტეტი)
2. დავით ნადირაძე, საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამის მე-2 სემესტრის დოქტორანტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი გ. გოგსაძე; დისერტაციის თემა: საქართველოს ევროკავშირთან, აშშ-თან და ჩინეთთან ურთიერთობების პოლიტიკურ-გეოგრაფიული ასპექტები

სადისერტაციო ნაშრომის სათაურის დაზუსტება:

3. ადა ნადარაია, პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის მე-6 სემესტრის დოქტორანტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი მ. მაცაბერიძე; სადისერტაციო თემის ძველი სათაური „ერთი სარკმლიდან-ერთ შენობამდე: იუსტიციის სახლების გავლენა საჯარო სექტორის რეფორმირების შემდგომ ეტაპზე საქართველოში" დაზუსდეს შეწმდეგი სახით: „იუსტიციის სახლის გავლენა საჯარო სექტორის რეფორმაზე საქართველოში (2014-2024 წლებში)"
4. სალომე კობაიძე, საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამის მე-9 სემესტრის დოქტორანტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ვ. მელიქიძე; დისერტაციის ძველი სათაური „ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის მდგრადი განვითარების სივრცითი ასპექტები" დაზუსტდეს შემდეგი სახით: „საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის მდგრადი განვითარების სივრცითი ასპექტები ქალაქ ბათუმის მაგალითზე"

სამეცნიერო თანახელმძღვანელის დამტკიცება

5. გიორგი კელაპტრიშვილი, საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის მე-6 სემესტრის დოქტორანტი, სამეცნიერო ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ნ. სამხარაძე; მეორე ხელმძღვანელად ასოცირებული პროფესორი დ. მაცაბერიძე

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა გ, გოგსაძემ, ასოცირებულმა პროფესორმა თ. მატარაძემ, ნ. დურგლიშვილმა

დაადგინეს: დამტკიცდეს დოქტორანტთა თემები და ხელმძღვანელები შემდეგი სახით:

1. გიორგი ქაფიანიძე, პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის მე-2 სემესტრის დოქტორანტი, ხელმძღვანელი პროფ. მ .მაცაბერიძე; თემის სათაური: სტალინთან დაკავშირებული თემატიკის გავლენა ადგილობრივ პოლიტიკურ დღის წესრიგზე (გორის მუნიციპალიტეტის მაგალითი)
2. დავით ნადირაძე, საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამის მე-2 სემესტრის დოქტორანტი; სამეცნიეორ ხელმძღვანელი პროფესორი გ. გოგსაძე; დისერტაციის თემა: საქართველოს ევროკავშირთან, აშშ-თან და ჩინეთთან ურთიერთობების პოლიტიკურ-გეოგრაფიული ასპექტები
3. ადა ნადარაია, პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის მე-6 სემესტრის დოქტორანტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი მ. მაცაბერიძე; სადისერტაციო თემა: იუსტიციის სახლის გავლენა საჯარო სექტორის რეფორმაზე საქართველოში (2014-2024 წლებში)
4. სალომე კობაიძე, საზოგადოებრივი გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამის მე-9 სემესტრის დოქტორანტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ვ. მელიქიძე; დისერტაციის სათაური: საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის მდგრადი განვითარების სივრცითი ასპექტები ქალაქ ბათუმის მაგალითზე
5. გიორგი კელაპტრიშვილი, საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის მე-6 სემესტრის დოქტორანტი; მეორე სამეცნიერო ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი დ. მაცაბერიძე

მოისმინეს 4. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დასამტკიცებელია მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის VIII სემესტრის დოქტორანტ მანონ ბოკუჩავას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია და რეცენზენტები. სადისერტაციო თემის სათაური: ოკუპირებული რეგიონის მედიის სარედაქციო პოლიტიკა; სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ხათუნა მაისაშვილი

დაცვის კომისია

1.მანანა შამილიშვილი - ჟურნალისტიკის დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების პროფესორი;

პუბლიკაცია: Shamilishvili, M. Historical Backgrounds of Georgia's Regional Conflicts. *Liubov Vasylyk. Hybrid Warfare as a Model of Conflict Communication: Ukrainian Context*, 48.

2.ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

პუბლიკაცია: Kuprashvili, N. (2019). Polarization as a threat for democracy analysis of the media system of Georgia.

3. ნინო ჭალაგანიძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

პუბლიკაცია: Kuprashvili, N., & Chalaganidze, N. (2022). Perception of hate speech in the of freedom of speech context-Georgian media culture example. *International Journal of Innovative Technologies in Social Science*, (2 (34)).

4. რევაზ ჯორბენაძე - ფსიქოლოგიის დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინური მიმართულების პროფესორი;

პუბლიკაცია: ჯორბენაძე,რ. (2005). *ქართულ-ოსური კონფლიქტის განვითარება - ქრონოლოგია და შეფასება*

5. ზაზა ცოტნიაშვილი - ჟურნალისტიკის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;

პუბლიკაცია: Tsotniashvili, Z. (2020). *How media covers COVID-19 impact in the Occupied Territories of Georgia* (Doctoral dissertation).

6. მაკა დოლიძე - ჟურნალისტიკის დოქტორი, დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

პუბლიკაცია: Dolidze, M. (2022). Political processes and conflict situations. *Scientific Journal „Spectri "*, *1*.

7. ანა ქეშელაშვილი - მასობრივი კომუნიკაციების დოქტორი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი;

პუბლიკაცია: Tsomaia, T., & Keshelashvili, A. How to Respond to Information Operations While Preserving Commitment to Free Speech and the Free Flow of Ideas?. *Georgia's Information Environment through the Lens of Russia's Influence*, 109.

რეცენზენტები

1. მარი წერეთელი - ჟურნალისტიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

პუბლიკაცია: Shamilishvili, M., Tsereteli, M., Svanidze, N., & Matcharashvili, T. (2023). Constructive journalism as an alternative to sensationalism-specifics and tasks. *Georgian Scientists*, *5*(4), 21-36.

2. თინათინ ზაქარაშვილი - სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ჟურნალისტიკის მიმართულებით, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი;

პუბლიკაცია: Zakarashvili, T. LINGUISTICS OF MODERN GEORGIAN MEDIA.

3. ერიკ ფრიდმანი (Eric Freedman) - მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი, მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჟურნალისტიკის სკოლის პროფესორი,

პუბლიკაცია: Freedman, E. (2021). Not a priority: Barriers to environmental reporting in the Republic of Georgia. *Applied Environmental Education & Communication*, *20*(2), 166-183

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ზ. დავითაშვილმა, ასოცირებულმა პროფესორმა მ. წერეთელმა

დაადგინეს: დამტკიცდეს მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის VIII სემესტრის დოქტორანტ მანონ ბოკუჩავას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია და რეცენზენტები შემდეგი შემადგენლობით:

დაცვის კომისია

1.მანანა შამილიშვილი - ჟურნალისტიკის დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების პროფესორი;

2.ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

3. ნინო ჭალაგანიძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

4. რევაზ ჯორბენაძე - ფსიქოლოგიის დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინური მიმართულების პროფესორი;

პუბლიკაცია: ჯორბენაძე,რ. (2005). *ქართულ-ოსური კონფლიქტის განვითარება - ქრონოლოგია და შეფასება*

5. ზაზა ცოტნიაშვილი - ჟურნალისტიკის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;

6. მაკა დოლიძე - ჟურნალისტიკის დოქტორი, დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

7. ანა ქეშელაშვილი - მასობრივი კომუნიკაციების დოქტორი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი;

რეცენზენტები

4. მარი წერეთელი - ჟურნალისტიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

5. თინათინ ზაქარაშვილი - სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ჟურნალისტიკის მიმართულებით, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი;

6. ერიკ ფრიდმანი (Eric Freedman) - მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი, მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჟურნალისტიკის სკოლის პროფესორი,

მოისმინეს: 5. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დასამტკიცებელია პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის VII სემესტრის დოქტორანტ გიორგი ბერიძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია და რეცენზენტები; სადისერტაციო თემის სათაური: პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესი და ბიზნესელიტები საქართველოში (შრომითი ურთიერთობების ტრანსფორმაცია 2014 -2023 წლებში); სამეცნიერო ხელმძღვანელი:პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე

დაცვის კომისია

1.ვალერიან დოლიძე - ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
პუბლიკაცია: Ubilava, I., Dolidze, V., & Shulenina, N. (2019). DEMOCRATIZATION OF POST-SOVIET GEORGIA-PROBLEMS OF CONTROL OVER THE ACTIVITIES OF POLITICAL ELITES. *Economic and Social Development: Book of Proceedings*, 1020-1025.

2.ჯაბა უროტაძე - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინური მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
პუბლიკაცია: Urotadze, J. (2019). *Comparative Analysis of Working and Rest Time Regulations in Georgia and European Union* (Doctoral dissertation, Ivane Javakhishvili Tbilisi state university, Faculty of social and political sciences).

3.თამარ ქარაია - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
პუბლიკაცია: Karaia, T. (2019). *Peculiarities of Social Protest Formation in Georgia* (Doctoral dissertation, Ivane Javakhishvili Tbilisi state university, Faculty of social and political sciences).

4.ზვიად აბაშიძე - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

პუბლიკაცია: Abashidze, Z. (2021). Issues of regulations of ethnic minorities in contemporary political processes: Western Experience and current Georgia. *Politics/პოლიტიკა*.

პუბლიკაცია: Kakachia, K. (2017). Georgia: Identity, foreign policy and the politics of 'Euro-Atlantic integration'. In *The South Caucasus-Security, Energy and Europeanization* (pp. 49-66). Routledge.

5.ანა დიაკონიძე - სოციოლოგიის დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

პუბლიკაცია: Diakonidze, A. (2016). Superficial institutions and challenges of re-regulation in the Republic of Georgia. *Caucasus Survey*, *4*(2), 149-164.

6.ემირ ეთერია - ეკონომიკის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი;

პუბლიკაცია: Eteria, E. (2019). EU's Trade Policy Developments and Economic Dimension of EU-Georgia Association Agreement. *Eastern European Journal for Regional Studies (EEJRS)*, *5*(2), 44-59.

7.ოთარ აბესაძე - ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

პუბლიკაცია: Abesadze, O. (2015). The Influence of European neighbouring policy upon the economic development of Georgia. *Procedia-Social and behavioral sciences*, *213*, 557-561.

რეცენზენტები

1.მურმან ცარციძე - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

პუბლიკაცია: Tukhashvili, M., Tsartsidze, M., Antadze, T., Latsabidze, N., Shelia, M., & Toria, M. (2012). *Internally Displaced Persons in the Georgian Labour Market*. Publishing House" Universal".

2.ირაკლი გორგილაძე - ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

პუბლიკაცია: Gorgiladze, I (2019). "Grey Zones" and Problem of New Common Identity in the Black Sea Region. Eastern Europe-Regional Studies, 2019 N2 ISSN: 2587-456X. TSU

3. მარტინ ჰეიდენრეიხი (Martin Heidenreich) - სოციოლოგიის დოქტორი, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი, ევროპისმცოდნეობის ჟან მონეს პროფესორი, ოლდებურგის უნივერსიტეტი, გერმანია.

პუბლიკაცია: Heidenreich, M., & Zeitlin, J. (2009). Changing European Employment and Welfare Regimes. The Influence of the Open Method of Coordination on National Reforms.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ი. კაჭკაჭიშვილმა, თ. დოლბაიამ.

დაადგინეს: პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის VII სემესტრის დოქტორანტ გიორგი ბერიძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია და რეცენზენტები დამტკიცდეს შემდეგი სახით:

დაცვის კომისია

1.ვალერიან დოლიძე - ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

2.ჯაბა ურუტაძე - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინური მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

3.თამარ ქარაია - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

4.ზვიად აბაშიძე - პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
5.ანა დიაკონიძე - სოციოლოგიის დოქტორი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
6.ემირ ეთერია - ეკონომიკის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი;
7.ოთარ აბესაძე - ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

რეცენზენტები

1.მურმან ცარციძე - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
2.ირაკლი გორგილაძე - ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
3. მარტინ ჰეიდენრეიხი (Martin Heidenreich) - სოციოლოგიის დოქტორი, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი, ევროპისმცოდნეობის ჟან მონეს პროფესორი, ოლდებურგის უნივერსიტეტი, გერმანია.

მოისმინეს 6. ს. დუნდუამ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს მოახსენა, ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ წინა სხდომაზე მათ დაამტკიცეს პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის, გიორგი გოგსაძის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია და რეცენზენტები. თუმცა უცხოელმა რეცენზენტმა, დეივიდ სიროკმა, რამდენიმე დღის წინ აცნობათ, რომ ერთ-ერთ სამეცნიერო პროექტში ჩართვისა და დროის უქონლობის გამო ვეღარ შეძლებს რეცენზენტობას. აღნიშნულის გამო, საჭიროა უცხოელი რეცენზენტის ცვლილება. კერძოდ, შემოთავაზებულია დეივიდ სიროკის ჩანაცვლება ემილიზია ზანკინათი - საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, რომის ტემპლეს უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის დეკანი
პუბლიკაცია: Zankina, E. (2016). Theorizing the new populism in eastern europe. *Politologický Časopis-Czech Journal of Political Science*, *23*(2), 182-199.

აზრი გამოთქვეს: ასოცირებულმა პროფესორმა ხ. მაისაშვილმა, ნ. ფარცხალაძემ

დაადგინეს: პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის, გიორგი გოგსაძის სადისერტაციო ნაშრომის უცხოელ რეცენზენტად განისაზღვროს:
ემილია ზანკინა (Emilia Zankina) - საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, რომის ტემპლეს უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის დეკანი

მოისმინეს 7. ს. დუნდუამ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს მოახსენა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შემოსულია ამავე ფაკულტეტის პროფესორის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, თამარ დოლბაიას განცხადება მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალში სტატიის გამოქვეყნებისთვის რექტორის ჯილდოზე წარსადგენად. თამარ დოლბაიას თანაავტორობით დაწერილი სამეცნიერო სტატია: "From Tradition to Innovation: The Rise of Mountain Pioneers in the Lesser Caucasus" იბეჭდება Web of Science-ში ინდექსირებულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში Mountain Research and Development, რომლის იმპაქტ ფაქტორია (IF) - 1.6. ასევე, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური ადასტურებს, რომ ამ სამეცნიერო

სტატიის გამოკლებით, პროფესორი დოლბაია ასრულებს მინიმალური სამეცნიერო სახელფასო სარგოსთვის განკუთვნილ 130 ქულიან მოთხოვნას (თან ერთვის ოქმს).

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა გ. გოგსაძემ, ასოცირებულმა პროფესორმა მ. წერთელმა.

დაადგინეს: დამტკიცდეს გადაწყვეტილება პროფესორ თამარ დოლბაიას რექტორის 19/05 2021 წლის #12/04 ბრძანებით გათვალისწინებულ ფინანსურ ჯილდოზე წარდგენის შუამდგომლობის შესახებ.

.

მოისმინეს 8. ს. დუნდუამ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს შესთავაზა ინიციატივა „ბ“ კონტრაქტის პროფესორებისთვის დამატებითი საათების ანაზღაურების შესახებ. ს. დუნდუამ შეახსენა პროფესორებს, რომ ერთი წლის წინ მისი ინიციატივითა და ფაკულტეტის საბჭოს მხარდაჭერით, გადაწყდა, რომ ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს, რომელიც შეასრულებდა მათი აკადემიური პოზიციისთვის განსაზღვრულ მინიმალურ საათობრივ დატვირთვას, ანაზღაურებოდათ სემესტრში 1-დან 4 საათამდე წაკითხული დამატებითი საათი. ს. დუნდუამ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს მიმართა ინიციატივით, რომ საათობრივი ანაზღაურების მსგავსი ფორმა მიეღოთ „ბ“ კონტრაქტის პროფესორებისთვისაც.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა გ. გოგსაძემ, ასოცირებულმა პროფესორმა კ. შუბითიძემ და ნ. ფარცხალაძემ

დაადგინეს: „ბ“ კონტრაქტის აკადემიურ პერსონალს აკადემიური პოზიციისთვის განსაზღვრული მინიმალური საათობრივი დატვირთვის შესრულების შემთხვევაში, აუნაზღაურდეს სემესტრში 1-დან 4 საათამდე დამატებითი საათები.

მოისმინეს 9. ს. დუნდუამ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული/განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების კონკურსის შესახებ. ს. დუნდუამ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ბრძანების მიხედვით, საჭირო იყო ფაკულტეტის საბჭოს განესაზღვრა კონკურსში მონაწილეობის დეტალური პირობები და შეემუშავებინა განაცხადების მიღების ფორმა.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა გ. გოგსაძემ, თ. დოლბაიამ, მ. მაცაბერიძემ, ი. კაჭკაჭიშვილმა; ასოცირებულმა პროფესორმა კ. შუბითიძემ, ნ. დურგლიშვილმა, ნ. ფარცხალაძემ და სხვ.

დაადგინეს: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული/განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების კონკურსში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ განი

საზღვროს განაცხადების მიღების ფორმა და შერჩევის კრიტერიუმები (დანართი 1, თან ერთვის ოქმს)

მოისმინეს 10. ფაკულტეტის კურიკულუმში ცვლილებების საჭიროების შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა თ. დოლბაიამ.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ი. კაჭკაჭიშვილმა; გ. გოგსაძემ;

დაადგინეს: შევიდეს ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში (დანართი 2, თან ერთვის ოქმს)

მოისმინეს: 11. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის, “ეროვნული უსაფრთხოება, დემოგრაფიული პოლიტიკა და მიგრაციები”, სილაბუსებში ლიტერატურის განახლების

აუცილებლობის თაობაზე ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თ. დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, ნ. დურგლიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს ქვემოთ ჩამოთვლილი სასწავლო კურსების სილაბუსები განახლებული ლიტერატურით. ესენია „მსოფლიო მოსახლეობის გეოგრაფია", მსოფლიო ეკონომიკის გეოგრაფია", სამაგისტრო კვლევის დიზაინი" და „დარგობრივი ინგლისური ენა"

მოისმინეს 10. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამული ანგარიშების დამტკიცების საჭიროების შესახებ შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თ. დოლბაიამ. თ. დოლბაიას განცხადებით, დასამტკიცებელი იყო შემდეგი სამწლიანი პროგრამული ანგარიშები: მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფია (საბაკალავრო პროგრამა), სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფია (სამაგისტრო პროგრამა), საზოგადოებრივი გეოგრაფია (სადოქტორო პროგრამა), მასობრივი კომუნიკაცია (სადოქტორო პროგრამა).

აზრი გამოთქვეს: ასოცირებულმა პროფესორებმა ს. დუნდუამ, ნ. დურგლიშვილმა

დაადგინეს: დამტკიცდეს შემდეგი სამწლიანი პროგრამული ანგარიშები: მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფია (საბაკალავრო პროგრამა), სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფია (სამაგისტრო პროგრამა), საზოგადოებრივი გეოგრაფია (სადოქტორო პროგრამა), მასობრივი კომუნიკაცია (სადოქტორო პროგრამა).

საფაკულტეტო საბჭოს თავმჯდომარე — სალომე დუნდუა
ასოცირებული პროფესორი

01/08/2024

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

სალომე დუნდუა

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

მალხაზ მაცაბერიძე

ალექსანდრე კუხიანიძე

ზვიად აბაშიძე

თამარ ქარაია

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

თამარ დოლბაია

გიორგი გოგსაძე

რევაზ გაჩეჩილაძე

ვაჟა ლორთქიფანიძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

ზურაბ დავითაშვილი

ფიქრია ასანიშვილი

კონსტანტინე შუბითიძე

დავით მაცაბერიძე

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება

იაგო კაჭკაჭიშვილი

ამირან ბერძენიშვილი

ნინო დურგლიშვილი

ნათელა ფარცხალაძე

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

მარი წერეთელი

მანანა შამილიშვილი

ნანული ტალახაძე

ხათუნა მაისაშვილი

ნინო ჭალაგანიძე

ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულება

რევაზ ჯორბენაძე

ნოდარ ბელქანია

ზურაბ აბაშიძე

თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

იაკობ ორმოცაძე

ლუკა ტაბიძე

ნინა კარანაია

დიტო ბელქანია

ალექსანდრე ფასეიშვილი

მარიამ ჯეჯია

თამარ ბიბიჩაძე

კახა კუჭუხიძე

ალექსანდრე გაბაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს ასოც.
პროფესორს ქ-ნ სალომე დუნდუას

ამავე ფაკულტეტის საბჭოს წევრებს

ინტერდისციპლინური დეპარტამენტის
გენდერის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის
ასოცირებული პროფესორის მედეა ბადაშვილის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგმართავთ თხოვნით, 2024 წლის 1 სექტემბრიდან 2025 წლის 1 თებერვლამდე (5 თვე) მომცეთ საშუალება ვისარგებლო ანაზღაურებადი შემოქმედებითი შვებულებით.

ამ პერიოდს მაქსიმალურად გამოვიყენებ ახალი სტატიის დასაწერად, რომელსაც წლის ბოლომდე გავაგზავნი ERICHPLUS/ Scopus/Web of Science ჟურნალში. სტატია დაიწერება ინგლისურად. აკადემიური შვებულების დასრულებისას, წარმოგიდგენთ სტატიის გამოსაქვეყნებლად მიღებულ თანხმობის წერილს.

სტატიისთვის ჩასატარებელი კვლევა კი განხორციელდება 2024 წლის 1 აგვისტოდან, რაც მომცემს საშუალებას შემოქმედებითი შვებულება მთლიანად დავუთმო სტატიას.

აქვე დავამატებ, რომ გახლავართ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი „Rustaveli-DAAD" -ის სასტიპენდიო პროგრამის 2024 წლის საგრანტო კონკურსის გამარჯვებული. ეს პროგრამა მომცემს საშუალებას განვახორციელო კვლევითი ვიზიტი გერმანიაში და ვიმუშავო გოთინგენის უნივერსიტეტში.

განცხადებას თან ერთვის მოწვევა გოთინგენის უნივერსიტეტიდან,
DAAD -ის პრეზიდენტის მოწვევა და თანხმობის წერილი.

პატივისცემით,

მედეა ბადაშვილი

9 ივლისი, 2024 წელი

თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს
ქ-ნ სალომე დუნდუას

ამავე ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის
ნათია (ნათელა) ფარცხალაძის

განცხადება

ქ-ნო სალომე, მოგმართავთ თხოვნით, წარუდგინოთ განსახილველად ფაკულტეტის საბჭოს ჩემი თხოვნა, 2024-2025 სასწავლო წელს (სექტემბერ, 2024 - ივნისი, 2025) სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულებით სარგებლობის თაობაზე.

სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების დროს, ვიღებ ვალდებულებას დავწერო სახელმძღვანელო, სამუშაო სათაურით - *ხანდაზმულებთან სოციალური მუშაობის საფუძვლები.* სახელმძღვანელო გამოყენებული იქნება სოციალური მუშაობის საბაკალავრო პროგრამის არჩევითი კურსისთვის - ხანდაზმულებთან სოციალური მუშაობის საფუძვლები, რომელზეც უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, ყოველწლიურად დარეგისტრირებული იყო 70 და მეტი სტუდენტი. სახელმძღვანელოს გარკვეული ნაწილების გამოყენება ასევე შესაძლებელი იქნება სამაგისტრო კურსისთვის - ხანდაზმულებთან სოციალური მუშაობის გაღრმავებული პრაქტიკა.

ასევე გაცნობებთ, რომ 2025 წელს დაგეგმილია Springer Nature - Major Research Works სერიის ახალი ტომის დაბეჭდვა. პუბლიკაციის რედაქტორებმა მომმართეს თხოვნით, პუბლიკაციისთვის თემაზე *სოციალური მუშაობა ბავშვებთან და ოჯახებთან,* შევიმუშავო თავი, სათაურით *ბავშვთა დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულებების დახურვა და დეინსტიტუციონალიზება ევროპასა და მსოფლიოში* (იხილეთ თანდართული მოწვევის წერილი). სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების დროს, დამატებით ვიღებ ვალდებულებას, შევიმუშავო აღნიშნული თავი და განსახილველად და შემდგომში დასაბეჭდად, გადავცე ის პუბლიკაციის სარედაქციო კომიტეტის.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, ჩემს სავალდებულო და არჩევით კურსებს ასწავლიან სილაბუსით გათვალისწინებული სხვა ლექტორები.

პატივისცემით,

ნათია ფარცხალაძე

24 ივლისი, 2024

პ.ნ. 01005004267
ტელ: 599797274

Dear Dr Natia Partskhaladze

We are writing to invite you to write a contributing chapter for a major new volume on **Child and Family Social Work.** This volume has been commissioned by Springer Nature and forms part of a series of volumes in the field of social work in their Major Research Works. The "editor-in-chief" of the social work series is **Richard Hugman**, Emeritus Professor of Social Work at the University of New South Wales, Australia.

You are invited to contribute a chapter on the topic of **deinstitutionalization/closing of large-scale residential institutions for infants and other children**. We are inviting you as a leading scholars and practitioners in this particular aspect of social work.

Each chapter should provide a review of up-to-date research findings in its specific area, with a discussion of the implications for practice and policy. That is, we are seeking chapters that will explain the range of perspectives on research and scholarship with respect to this topic, then demonstrate the implications for social work practice and policy developments. It is hoped that we can receive draft chapters by 31st December 2024. This will allow sufficient time for the review process to be completed prior to publication in 2025.

A particular innovation that Springer has introduced with the Major Research Works volumes, and other recent scholarly texts, is that of on-line publishing as a significant platform. While print copies will be available to order, on-line publication allows access for readers to specific chapters. For you as an author this will mean you can submit your manuscript electronically and will be able to communicate easily in the editing process. It also means that individual chapters can be published on-line prior to a volume being completed (similar to the "pre-publishing" that now occurs with many journals). For the future, authors will be enabled and encouraged periodically to review and update their chapters from time to time. Therefore, authors will have continuing access to their own chapter once published. This is in addition to complimentary access to all volumes in the Springer Major Research Works collection.

For more detailed guidance concerning the requirements for chapters please see that attached notes provided by Springer. In particular, the expected word length is around 9000 words, including references. While there is a target for the volume as a whole it is also important that each chapter will present the most up to date analysis of its topic. Therefore, there is some scope for minor adjustments to this figure if necessary.

We look forward to hearing from you. If you have any questions please do not hesitate to let us know.

Kind regards,

Prof Janestic Mwende Twikirize & Dr Kwabena Manso

Editors

CDE, Mittelstrasse 43, CH-3012 Bern

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
8 Chavchavadze Avenue
Prof. Dr. Tamar Dolbaia
0179 Tbilisi
GEORGIA

tamar.dolbaia@tsu.ge

UNIVERSITY
OF BERN

CDE
CENTRE FOR DEVELOPMENT
AND ENVIRONMENT

Bern, 17 July 2024

Confirmation of acceptance

Dear Prof. Dr. Tamar Dolbaia

We are delighted to inform you that your paper entitled

> "From Tradition to Innovation: The Rise of Mountain Pioneers in the Lesser Caucasus",
>
> authored by Gvantsa Salukvadze, Annina Helena Michel, Norman Backhaus, Temur Gugushvili, and Tamar Dolbaia,
>
> manuscript number mrd.2024.00006R3

has been accepted for publication in *Mountain Research and Development* in 2024.

We would like to take this opportunity to thank you for having submitted your interesting manuscript to MRD.

With best regards,

Brigitte Portner

Associate Editor, MRD
Senior Research Scientist, CDE

Mountain Research and Development

Brigitte Portner, PhD
Associate Editor
MRD Editorial Office
Centre for Development and Environment
Mittelstrasse 43
CH-3012 Bern

Tel. +41 31 684 88 22
Fax +41 31 684 85 44
brigitte.portner@unibe.ch
www.cde.unibe.ch
www.mrd-journal.org

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანს, ქ-ნ სალომე დუნდუას,

ამავე ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების

სამსახურის უფროსის,

სანდრო ტაბატაძის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ქ-ნ სალომე, გაცნობებთ, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ა“ კატეგორიის პროფესორის, **თამარ დოლბაიას** თანაავტორობით გამოცემული სამეცნიერო სტატია: **“From Tradition to Innovation: The Rise of Mountain Pioneers in the Lesser Caucasus”**გამოცემულია Web of Science-ში ინდექსირებულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში Mountain Research and Development, რომლის იმფაქტ ფაქტორია (IF) - 1.6.

ამასთან, ამ სამეცნიერო სტატიის გამოკლებით, პროფესორი დოლბაია ასრულებს მინიმალური სამეცნიერო სახელფასო სარგოსთვის განკუთვნილ 130 ქულიან მოთხოვნას.

სანდრო ტაბატაძე



პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
25.07.2024

დანართი 1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული/განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების კონკურსი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს მიერ 2024 წლის 1 აგვისტოს სხდომაზე (ოქმი 6) განსაზღვრული

შერჩევის კრიტერიუმები და განაცხადების წარდგენის ფორმა

1. **ახალი სახელმძღვანელოს შექმნის საკონკურსო პირობები და წარმოსადგენი დოკუმენტაცია:**

ა) საკონკურსოდ შეიძლება წარდგენილ იყოს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამების სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სახელმძღვანელო, რომელიც არის ორიგინალური და მანამდე არ ყოფილა რაიმე სახით გამოქვეყნებული;

ბ) არჩევითი საგნის სახელმძღვანელო საკონკურსოდ განიხილება, თუ ბოლო ორი სასწავლო წლის განმავლობაში საბაკალავრო პროგრამის საგანზე დარეგისტრირებული იყო არანაკლებ 50 სტუდენტისა;

გ) თუ ბოლო ორი ან მეტი სასწავლო წლის განმავლობაში, საბაკალავრო პროგრამაზე არჩევითი სასწავლო კურსი არ იკითხებოდა ან არ არსებობდა, დარეგისტრირებულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესი მასზე არ მოქმედებს;

დ) კონკურსში მონაწილეობა შეუძლია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს;

ე) სახელმძღვანელოს თანაავტორად შესაძლოა, ჰყავდეს უნივერსიტეტის აკადემიური ან/და ფაკულტეტის მოწვეული პერსონალი;

აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის სახელზე;

ბ) სახელმძღვანელოს დეტალური ანოტაცია (მინიმუმ 500 სიტყვა);

გ) სავარაუდო სარჩევი (რამდენიმე ავტორის შემთხვევაში, სარჩევში ნათლად უნდა ჩანდეს

თითოეული ავტორის წვლილი);

დ) ლიტერატურის ჩამონათვალი, რომლის ბაზაზე იქმნება სახელმძღვანელო;

ე) სახელმძღვანელოს სავარაუდო გვერდების რაოდენობა;

2. არსებითად გადამუშავებული/განახლებული სახელმძღვანელოს შემთხვევაში აპლიკანტის მიერ შემოსატანი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის სახელზე;

ბ) სახელმძღვანელოს დასახელება, რომლის განახლებაც სურს კონკურსანტს;

გ) არგუმენტირებული დასაბუთება, თუ რატომაა საჭირო კონკრეტული სახელმძღვანელოს განახლება;

დ) სახელმძღვანელოს განახლებული ვარიანტის სარჩევი იმ მონაკვეთების დეტალური აღწერით, რომლის განახლებასაც გეგმავს ავტორი;

3. უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნის შემთხვევაში აპლკანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის სახელზე;

ბ) სათარგმნი ლიტერატურის შესახებ დეტალური ინფორმაცია: სახელწოდება, ავტორი, გამოცემის წელი და გამომცემლობა;

გ) ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი სავალდებულო ან/და არჩევითი კურსისთვის არის განკუთვნილი მოცემული სათარგმნი ლიტერატურა;

დ) სათარგმნი გვერდების სავარაუდო რაოდენობა;

4. კონკურსის განხორციელების პროცედურა:

ა) ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე შემოსულ განცხადებებს და შესაბამის დოკუმენტაციას უგზავნის მიმართულებების ხელმძღვანელებს;

ბ) საკონკურსოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა ხდება მიმართულების მიერ მიმართულების სხდომაზე;

გ) მიმართულების მიერ დასაფინანსებლად შერჩეული განაცხადების შესახებ დეტალური ინფორმაცია ეგზავნება ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეს;

დ) მიმართულებების მიერ შერჩეულ აპლიკანტთა განცხადებებს ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე უგზავნის ფაკულტეტის საბჭოს წევრებს;

ე) ფაკულტეტის საბჭო სხდომაზე იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას დასაფინანსებელი ახალი სახელმძღვანელოს, განახლებული სახელმძღვანელოს ან უცხოური სასწავლო ლიტერატურის თარგმანის შესახებ;

ვ) საბოლოო სახით წარმოდგენილი დასრულებული ახალი/განახლებული სახელმძღვანელოს ან ნათარგმნი უცხოურენოვანი სასწავლო ლიტერატურის შესახებ შესაბამისი მიმართულების დარგობრივი სარედაქციო კოლეგია წერს დასკვნას;

დადებითი დასკვნის შემთხვევაში, დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის მიერ შედგენილი დასკვნა გადაეცემა ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს;

ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭო გამოყოფს რეცენზენტს;

რეცენზენტის მიერ მიღებული რეცენზიის საფუძველზე, საგამომცემლო საბჭო წერს დასკვნას, რომელსაც უგზავნის ფაკულტეტის საბჭოს;

ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეგზავნება ცენტრალურ საგამომცემლო საბჭოს;

5. კონკურსის ვადები:

ა) ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის სახელზე კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა 2024 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით;

ბ) მიმართულებების ხელმძღვანელის მიერ შესაბამისი მიმართულებიდან შერჩეული საკონკურსო სახელმძღვანელოს/სათარგმნი ლიტერატურის შესახებ განცხადებისა და მიმართულების სხდომის ოქმის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის სახელზე გაგზავნა 2024 წლის 27 სექტემბრის ჩათვლით;

გ) შერჩეული განაცხადების თაობაზე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის ინფორმაციის მიწოდება არა უგვიანეს 2024 წლის 7 ოქტომბრისა;

6. დაფინანსება:

ა) ახალი სახელმძღვანელოს ან არსებითად გადამუშავებული/განახლებული სახელმძღვანელოს შექმნის, ასევე უცხოური სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის დაფინანსების კონკურსის ფარგლებში ფაკულტეტისთვის გამოყოფილია 50 000 ლარი;

ბ) ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, გამოყოფილი თანხა თანაბრად გადანაწილდება ფაკულტეტის 6 მიმართულებას შორის და შეადგენს 8 333 ლარს თითოეული მიმართულებისთვის;

დანართი 2

ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში , 1 აგვისტო, 2024

1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების საფაკულტეტო კურსები (დადგენილება 57/2011, დანართები: 34, 36,37, 38,40,41)

ცვლილება: საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტების შეცვლა

ცვლილების აღწერა: ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებში საფაკულტეტო სასწავლო კურსები, 50 კრედიტიდან შემცირდა 45 კრედიტამდე, საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალიდან, „სტატისტიკის“ სასწავლო კურსის ამოღების გამო.

ბაკალავრიატის ყველა საგანმანათლებლო პროგრამისთვის, საფაკულტეტო სასწავლო კურსები გახდა - 45 კრედიტი. მათ შორის:

20 კრედიტი - საფაკულტეტო საბაზისო სავალდებულო კურსები;

15 კრედიტი - სამი საფაკულტეტო შესავალი კურსი;

10 კრედიტი - ორი საფაკულტეტო არჩევითი კურსი.

ცვლილება: საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსისთვის სტატუსის შეცვლა და სილაბუსის განახლება

ცვლილების აღწერა: საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსი „სტატისტიკა“ გახდა საფაკულტეტო - არჩევითი სასწავლო კურსი ბაკალავრიატის ყველა საგანმანათლებლო პროგრამისთვის, გარდა „სოციოლოგიის“ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა, რომლისთვის ის, ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსი გახდა.

ცვლილება: საფაკულტეტო სასწავლო კურსზე ლექტორის დამატება

ცვლილების აღწერა: საფაკულტეტო სასწავლო კურსზე „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“, ემატება ასოცირებული პროფესორი გვანცა აბდალაძე

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება.

2. **ბაკალავრიატის ყველა საგანმანათლებლო პროგრამა** (დადგენილება 57/2011, დანართები: 34, 36,37, 38,40,41)

ცვლილება: ბაკალავრიატის ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში ძირითადი სპეციალობისა და არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების შეცვლა

ცვლილების აღწერა: საფაკულტეტო - სავალდებულო სასწავლო კურსების 50 კრედიტიდან, 45 კრედიტამდე შემცირებისა და „სტატისტიკის“ სასწავლო კურსის, საფაკულტეტო - არჩევით სასწავლო კურსებში გადატანის გამო, გარდა „სოციოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამისა, რომელშიც „სტატისტიკა“ ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსებს დაემატა, ძირითადი სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების თანაფარდობა საგანმანათლებლო პროგრამებში გადანაწილდა შემდეგნაირად:

პოლიტიკის მეცნიერება:

ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები - 125კრედიტი, მათ შორის:

სავალდებულო სასწავლო კურსები - 65 კრედიტი;

არჩევითი სასწავლო კურსები - 60 კრედიტი;

საერთაშორისო ურთიერთობები:

ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები - 125 კრედიტი, მათ შორის:

სავალდებულო სასწავლო კურსები - 105 კრედიტი;

არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი;

ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია:

ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები - 125 კრედიტი, მათ შორის:

სავალდებულო სასწავლო კურსები - 80 კრედიტი;

არჩევითი სასწავლო კურსები - 45 კრედიტი;

სოციოლოგია:

ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები - 125 კრედიტი, მათ შორის:

სავალდებულო სასწავლო კურსები - 95 კრედიტი;

არჩევითი სასწავლო კურსები - 30 კრედიტი;

სოციალური მუშაობა:

ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები - 125 კრედიტი, მათ შორის:

სავალდებულო სასწავლო კურსები - 90 კრედიტი;

არჩევითი სასწავლო კურსები - 35 კრედიტი;

მსოფლიოს სოციალურ - პოლიტიკური და ტურიზმის გეოგრაფია:

ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები - 125 კრედიტი, მათ შორის:

სავალდებულო სასწავლო კურსები - 90 კრედიტი;

არჩევითი სასწავლო კურსები - 35 კრედიტი;

ჟურნალისტიკა:

ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები - 125 კრედიტი, მათ შორის:

სავალდებულო სასწავლო კურსები - 70 კრედიტი;

არჩევითი სასწავლო კურსები - 55 კრედიტი;

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება.

3. **ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა: "სოციოლოგია",** (დადგენილება # 57/2011, დანართი # 37)

ცვლილება: პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების (რუკები) მოდიფიცირება

ცვლილების აღწერა: საგანამანათლებლო პროგრამაზე, „სტატისტიკის" სასწავლო კურსის სავალდებულო საგნად დამატებამ, გამოიწვია პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტების ცვლილება, პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და რუკების მოდიფიცირება

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება

4. **ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა: "საერთაშორისო ურთიერთობები",** (დადგენილება # 57/2011, დანართი # 41)

ცვლილება: პროგრამაში სასწავლო კურსის დამატება

ცვლილების აღწერა: პროგრამას ემატება არჩევითი სასწავლო კურსი „**რბილი ძალა საერთაშორისო ურთიერთობებში" ,** ასოცირებული პროფესორი გვანცა აბდალაძე

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში განმსაზღვრელ ფაქტორი, „ხისტი ძალა", რომლის გამოხატულებაა სამხედრო ძლიერება, სულ უფრო ნაკლებ როლს თამაშობს, როგორც საგარეო პოლიტიკური მიზნის მიღწევის საშუალება. იგი იცვლება ე.წ. „რბილი ძალით", როცა სახელმწიფოთა ინტერესების განხორციელების ძირითად ინსტრუმენტად გამოიყენება ისეთი ფორმები, როგორიცაა ჰიბრიდული

ომი, პროპაგანდა, დეზინფორმაცია და სამიზნე ქვეყნის მოსახლეობის იდეოლოგიური დამუშავება.

რბილი ძალის მზარდი როლიდან გამომდინარე, პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიურმა პერსონალმა, საჭიროდ მიიჩნია ამ პრობლემისადმი მიძღვნილი სპეციალური კურსის შემუშავება.

საფუძველი: საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება

5. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა: „პოლიტიკის მეცნიერება“, (დადგენილება # 57/2011, დანართი # 36)

ცვლილება: სასწავლო კურსის სემესტრის ცვლილება

ცვლილების აღწერა: სასაწავლო კურსი **„პოლიტიკური კორუფცია და ორგანიზებული დანაშაული“**, გამოდის შემოდგომის სემესტრთან ერთად, გაზაფხულის სემესტრშიც

საფუძველი: სასწავლო კურსის განვითარება

6. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა: „ჟურნალისტიკა“, (დადგენილება # 57/2011, დანართი # 34)

ცვლილება: სასწავლო კურსში შეფასების ფორმისა და ქულების ცვლილება

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსის, **„ანალიზისა და მოსაზრების წერა“,** სილაბუსში განხორციელდა შეფასების ფორმისა და ქულების ცვლილება. 40 ქულიანი დასკვნითი გამოცდის შეფასების ქულები განაწილდა შემდეგნაირად:

„1- 10 საკითხის (დახურული ტესტი, 1 საკითხი - 1 ქულა) ჩათვლით - 10 ქულა; 11 – 20 საკითხის (1 საკითხი - 2 ქულა) ჩათვლით - 20 ქულა; ესე - 10 ქულა.

საფუძველი: სასწავლო კურსის განვითარება

7. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა: „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“ (დადგენილება № 57/2011, დანართი 65)

ცვლილება: სასწავლო კურსებზე განმახორციელებელი პერსონალის დამატება

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსებზე,“ საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები“ და „ქართული დიპლომატიის ისტორია“, დაემატოს ასოცირებული პროფესორი გვანცა აბდალაძე

საფუძველი : სასწავლო კურსების განვითარება

8. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა: "პოლიტიკის ანალიზი და საჯარო პოლიტიკა" (დადგენილება № 62/2022, დანართი 310)

ცვლილება: სასწავლო კურსზე განმახორციელებელი პერსონალის ჩანაცვლება

ცვლილების აღწერა: განხორციელდა "ეკონომიკური პოლიტიკის" სასწავლო კურსის ლექტორების, მ. თოქმაზიშვილისა და ვ. დოლიძის ჩანაცვლება, მოწვეული ლექტორით, ირმა ტყემალაძით.

საფუძველი : სასწავლო კურსის განვითარება

9. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა: "მედიის კვლევები" (დადგენილება № 57/2011. დანართი N 45)

ცვლილება: **სასწავლო კურსისთვის სემესტრის შეცვლა**

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსი „მედია და უსაფრთხოება" (5 კრედიტი, 15/15), მოწვეული ლექტორი ნანა ჯანაშია, გაზაფხულის სემესტრიდან გადმოდის შემოდგომის სემესტრში

ცვლილება: სასწავლო კურსზე საკონტაქტო საათის დამატება
ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსზე, „მედია და ფასილიტაცია" (5 კრედიტი, 15/15), პროფესორი რევაზ ჯორბენაძე, დაემატა კვირეული 1 საათი და გახდა 15/30.
საფუძველი: სასწავლო კურსების განვითარება.

10. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „კონფლიქტოლოგია" (დადგენილება № 57/2011, დანართი N 257)

ცვლილება: სასწავლო კურსის სტატუსის, პროგრამის სასწავლო კომპონენტის კრედიტებისა და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების (რუკები) შეცვლა

ცვლილების აღწერა: არჩევითი სასწავლო კურსი „კონფლიქტოლოგია", გახდა სავალდებულო, რის შედეგადაც სასწავლო კომპონენტის კრედიტები, 30 კრედიტიდან გაიზარდა 35 კრედიტამდე და შეიცვალა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების (რუკები).

საფუძველი: საგანამანთლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია.

შენიშვნა: დანართის სახით წარმოგიდგენთ „ სოციოლოგიის" საბაკალავრო და „კონფლიქტოლოგიის" სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სწავლის შედეგების რუკებს.